

კონკურსის წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. გამოყენების სფერო

1. კონკურსის (შემდეგში - „კონკურსი“) წესი (შემდეგში - „წესი“) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, საქართველოს კანონის „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდების (შემდეგში - „ობსერვატორიის წესდება“) საფუძველზე.
2. ეს წესი არეგულირებს ობსერვატორიის წესდების შესაბამისად სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების, ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის (შემდეგში - „კომისია“) საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.
3. ამ წესის მიზანია უზრუნველყოს ობსერვატორიის საშტატო განრიგით განსაზღვრული მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობაზე პირთა მიღების წინაპირობის შექმნა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისა და ობსერვატორიის სამეცნიერო მიზნების გათვალისწინებით.

თავი II. კონკურსი

მუხლი 2. კონკურსის მიზანი, ამოცანები და პრინციპები

1. კონკურსის მიზანია, ობსერვატორიის ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად დადგენილი პირობების გათვალისწინებით, საუკეთესო კანდიდატის შერჩევა.

2. კონკურსის ამოცანაა ობსერვატორიაში არსებული ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობათა თანაბრად ხელმისაწვდომობისა და კანდიდატების შერჩევა-დასაქმების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ასევე, საუკეთესო კანდიდატების შერჩევა ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ პირობებთან კონკურსანტის შესაბამისობის დადგენის გზით, კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილებისა და მოტივაციის შეფასების საფუძველზე.

3. კონკურსის პრინციპებია:

ა) გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა კონკურსანტისათვის; კონკურსანტი, რომელიც არ ეთანხმება კონკურსის შედეგს, უფლება აქვს მოითხოვოს მისი გადამოწმება და შესაბამისი განმარტების მიღება;

ბ) თანასწორობა – კონკურსის ჩატარება უნდა ეფუძნებოდეს მოქალაქეთა თანასწორობას განურჩევლად რასის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, საზოგადოებაში მათი მდგომარეობის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა;

გ) სამართლიანი კონკურენცია - ყველა კონკურსანტი, გამონაკლისის გარეშე და გარემოებების მიუხედავად, ექვემდებარება ერთსადაიმავე საკონკურსო პირობებით შეფასებას;

დ) ობიექტურობა – კონკურსის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული, მაქსიმალურად გამოირიცხავდეს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას;

ე) საჯაროობა – კონკურსის პროცედურებთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტები, კომისიის სხდომის ოქმები და კონკურსის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ვ) კოლეგიურობა – კონკურსის ეტაპები უნდა ჩატარდეს და შედეგები უნდა დამტკიცდეს კომისიის მიერ კენჭისყრის საშუალებით, თითოეულ საკითხზე კოლეგიურად მსჯელობის საფუძველზე;

ზ) კორექტულობა – კონკურსის ჩატარების ფორმები და მეთოდები, კონკურსანტისთვის დასმული შეკითხვები უნდა იყოს კორექტული. კომისია კონკურსანტის მიმართ უნდა ავლენდეს კეთილგანწყობას. დაუშვებელია კონკურსანტზე ნებისმიერი სახის ზეწოლა.

მუხლი 3. კონკურსის ენა

კონკურსი და მასთან დაკავშირებული საქმისწაროება წარიმართება სახელმწიფო ენაზე.

მუხლი 4. კომისია

1. კონკურსს ატარებს კომისია, რომელიც იქმნება საკონკურსო განცხადებების მიღებამდე ობსერვატორიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. კომისიის (შემდეგში - „კომისია“) შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავჯდომარის მოადგილე და სხვა წევრები.
3. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. მისი არყოფნის ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც სრულად სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით.
4. კომისიის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს ირჩევს თავად კომისია.
5. კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენტური აზრის მოსასმენად დამატებით მოიწვიოს შესაბამისი დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტი.

6. კომისიის/სამდივნოს წევრი ვალდებულია კონკურსის მიმდინარეობის პროცესში დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს კომისიის მუშაობასთან და გადაწყვეტილების მომზადებასთან დაკავშირებული შიდაუწყებრივი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კომისიის წევრობისას/მდივნობისას და ხელისაწვდომი არ უნდა იყოს სხვა პირებისთვის.
7. კონკურსის დამთავრების შემდეგ, კომისია წყვეტს არსებობას.

მუხლი 5. კომისიის სამდივნო

1. კომისიას საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, ჰყავს სამდივნო, რომელსაც ობსერვატორიის თანამშრომელთაგან ქმნის ობსერვატორიის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. კომისიის სამდივნო:
 - ა) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების ჩატარებას, კერძოდ, დღის წესრიგის შეთანხმებას კომისიის თავმჯდომარესთან, კომისიის წევრთა ინფორმირებას სხდომის ჩატარების შესახებ და მსგავსი;
 - ბ) კომისიის სხდომაზე დამსწრე პირთა აღრიცხვას;
 - გ) სხდომის ოქმების შედგენას (კომისიის გადაწყვეტილებით, სამდივნოს ერთი წევრი);
 - დ) კომისიის თავმჯდომარის მიერ გაცემული დავალებების ან/და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგს;
 - ე) საკონკურსო განცხადებების მიღებას, რეგისტრაციას, დახარისხებას, საქმეთა ფორმირებას;
 - ვ) ელექტრონული ფოსტის - vacancy@abao.ge ადმინისტრირებას;
 - ზ) კომისიის გადაწყვეტილებების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობას.
3. კომისიის სამდივნო ანგარიშვალდებულია კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წინაშე და საქმიანობს მათი გადაწყვეტილებით.
4. კომისიის სამდივნოს წევრს აქვს კომისიის სხდომებზე დასწრების უფლება, თუმცა არ აქვს გადაწყვეტილებაზე მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩარევის და ხმის უფლებები.

მუხლი 6. კომისიის მუშაობა

1. კომისია იკრიბება სხდომებზე, რომელიც მოიწვევა თავმჯდომარის ან კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის ინიციატივით.
2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3.
3. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრს უფლება აქვს ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში და ამ წევრის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია დაერთოს ოქმს.

4. ზოგადად, კომისიის სხდომა დახურულია, გარდა საორგანიზაციო საკითგებზე მსჯელობასა და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხდომებისა/სხდომის ნაწილისა, რომელიც შეიძლება იყოს ღია.
5. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის გადაწყვეტილება (მათ შორის პროცედურულ საკითგებზე) მიიღება დამსწრე კომისიის წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
6. კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის რეგულირებული „სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ“ ობსერვატორიის დირექტორის 2020 წლის 1 ივლისის N03-01/07 ბრძანებით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ. დაუშვებელია ასეთი პროცედურა ეწინააღმდეგებოდეს წინამდებარე წესს და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
7. კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს კონკურსის ვადაში. საჭიროების მიხედვით, იგი ადგენს კონკურსის ეტაპების და სხვა შიდა ვადებს.
8. დაუშვებელია კონკურსანტის მიერ კომისიის წევრზე/მდივანზე რაიმე სახის ან ფორმის ზეწოლა კომისიის საქმიანობაში ხელის შეშლის ან გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით.

მუხლი 7. კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტი

1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, აკრძალულია კომისიის წევრი იყოს:
 - ა) კონკურსანტი;
 - ბ) კონკურსანტის ახლო ნათესავი;
 - გ) კონკურსანტის უფროსი;
 - დ) კონკურსის ეტაპზე კონკურსანტთან უშუალოდ სამართლებრივ კავშირში (ერთი პროექტის ფარგლებში და მსგავსი) მყოფი პირი;
 - ე) სხვა პირი, რაც განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით.
2. აკრძალულია ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ფაქტის დამალვა. პირმა უნდა იხელმძღვანელოს კეთილსინდისიერებისა და თანამშრომლობის პრინციპებით. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, კომისიის წევრი ვალდებულია მოახდინოს თვითაცილება, ხოლო უარის შემთხვევაში - კომისიამ არ გაითვალისწინოს მისი ხმა.
3. ამ მუხლით გათვალისწინებულ „ახლო ნათესავში“ იგულისხმება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირ(ებ)ი.

მუხლი 8. განცხადებების წარდგენის პირობები

1. კონკურსანტს რეგისტრაციის ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს უფლება აქვს მიმართოს კომისიას წერილობითი განცხადებით და გამოიტანოს თავისი საკონკურსო განცხადება ან/და მხოლოდ ერთხელ შეცვალოს განაცხადში მითითებული საკონკურსო ადგილი.
2. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარდგენილ იქნას ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო თანამდებობაზე.

მუხლი 9. კონკურსის ეტაპები და კონკურსის დასასრული

1. ობსერვატორიის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:

I ეტაპი - განცხადებების მიღება/შემოწმება;

II ეტაპი - კანდიდატების შერჩევა.

2. კომისიის გადაწყვეტილების შემთხვევაში, განმცხადებელთან შესაძლებელია ჩატარდეს გასაუბრება.
3. კონკურსანტი კონკურსის მომდევნო ეტაპზე დაიშვება მხოლოდ წინა ეტაპის წარმატებით დაძლევის საფუძველზე.
4. კონკურსანტს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ ეცნობება მის მიერ განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე ან მობილურ ტელეფონზე.
5. კონკურსი დასრულებულია კომისიის მიერ ობსერვატორიის დირექტორისთვის კონკურსის საბოლოო შედეგების (შემაჯამებელ ოქმი) წარდგენიდან მე-5 სამუშაო დღეს.

მუხლი 10. განცხადებების მიღება

1. ობსერვატორიაში სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია:

1.1. კონკურსისათვის განსაზღვრული პირობებისა და ვადის დაცვით, კომისიას ელექტრონულ ფოსტაზე vacancy@abao.ge წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) **განცხადება** (ხელმოწერილი, სკანირებული) კომისიის სახელზე, შევსებული დადგენილი ფორმის (წინამდებარე წესის N1 დანართი) მიხედვით.

ბ) **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი** (პასპორტი ან პირადობის მოწმობა, სკანირებული ვერსია). უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი სახელმწიფო ენაზე;

გ) ავტობიოგრაფია (CV, ხელმოწერილი, სკანირებული) ფერადი ფოტოსურათით, შედგენილი დანართი N2-ში განსაზღვრული რეკვიზიტების გათვალისწინებით;

დ) სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაციები (ჩამონათვალი), სასურველია შესაბამისი ინტერნეტ-ბმულების მითითებით. ჩამონათვალში უნდა აღინიშნოს ავტორთა სრული სია, ხოლო თანაავტორთა დიდი რაოდენობის (5-ზე მეტი) შემთხვევაში, მათი რაოდენობა;

ე) ერთი სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაცია (ელექტრონულად), რომელიც კონკურსანტის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით საქმიანობას;

ვ) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (სკანირებული). უცხო ქვეყანაში (გარდა 1991 წლამდე გაცემული დოკუმენტებისა) მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას მისი აღიარების დოკუმენტი (სკანირებული), გაცემული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საკონკურსო განცხადებების რეგისტრაციის ვადის განმავლობაში აღიარების დოკუმენტის წარმოდგენლობა არ შეაფერხებს ამ პირის მონაწილეობას და კონკურსში მის მიმართ გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა კონკურსანტი ვალდებულია, კონკურსის შედეგების საფუძველზე, მისი შერჩევის შემთხვევაში ეს დოკუმენტი მიაწოდოს ობსერვატორიის დირექტორს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, ხოლო მანამდე, მათ შორის 1991 წლამდე გაცემული დოკუმენტის მფლობელი კონკურსანტი, საკონკურსო განცხადებების რეგისტრაციის ვადაში - უცხო ენაზე გაცემული დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი (სკანირებული) სახელმწიფო ენაზე (სკანირებული). ამ დოკუმენტების არ/ვერ წარმოდგენის შემთხვევაში, ობსერვატორიის დირექტორს უფლება აქვს დააყოვნოს შერჩეული კანდიდატის დასაქმება აღნიშნული დოკუმენტების მიღებამდე ან უარი უთხრას მას ობსერვატორიაში დასაქმებაზე;

ზ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (ცნობა, შრომის წიგნაკი ან სხვ.), საიდანაც უნდა ირკვეოდეს დაკავებული თანამდებობისა და სამსახურის დაწყების და დასრულების თარიღები. უცხო ენაზე გაცემული ცნობის არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოა კონკურსანტმა წარმოადგინოს მისი ორიგინალი (სკანირებული) და სახელმწიფო ენაზე შესრულებული ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი (სკანირებული). აღნიშნული დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვალდებულება არ ვრცელდება 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით რიცხულ ობსერვატორიის თანამშრომლებზე იმ პერიოდთან დაკავშირებით, როდესაც ისინი დასაქმებულნი იყვნენ ობსერვატორიაში მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად;

თ) სამოტივაციო წერილი - ობსერვატორიის განვითარების ხედვა (მხოლოდ მთავარი მეცნიერის თანამდებობის მაძიებელი კანდიდატებისთვის). რეკომენდებულია სამოტივაციო წერილის მოცულობა არ აღემატებოდეს 500 სიტყვას.

1.2. საკონკურსო კომისიისთვის მოთხოვნილი დოკუმენტაციის გაგზავნამდე ყურადღება მიაქციოს რამდენად სწორად აქვს შევსებული და სრულად ატვირთული დოკუმენტაცია, განცხადების მიღების დადასტურებას, გაგზავნის შემდგომ არაუგვიანეს იმავე დღის 21:00-

მდე. ასეთი დასტურის არმიღების შემთხვევაში, ტექნიკური შეფერხების გამო გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, დაუყოვნებლივ გადმოგზავნოს იგივე განცხადება განმეორებით;

- 1.3. საკონკურსოდ წარმოადგინოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები, სწორად შეადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტები. იგი სრულადაა პასუხისმგებელი აღნიშნული პირობის დარღვევით გამოწვეული ზიანისათვის როგორც ობსერვატორიის, ისე მესამე პირების წინაშე.

მუხლი 11. განცხადებების მიღება/შემოწმება

1. კონკურსის II ეტაპზე მოწმდება თითოეული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების ფორმალური შესაბამისობა საკონკურსო მოთხოვნებთან (პირობებთან).
2. თუკი დადგინდა, რომ კონკურსანტმა დოკუმენტები არასრულად წარმოადგინა ან არასათანადოდ შეავსო, მას ეცნობება ამის შესახებ და ეძლევა ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ აღმოფხვრა, იგი კარგავს კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადასვლის უფლებას და დისკვალიფიცირდება კონკურსიდან.
3. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.
4. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში და შესაბამის დოკუმენტებში მითითებული ინფორმაციის სისწორე და შეუსაბამობის დადასტურების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსიდან ამ პირის დისკვალიფიკაციის შესახებ, რითაც იგი კარგავს მიმდინარე კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.

მუხლი 12. გასაუბრება

1. გასაუბრება ტარდება კომისიის გადაწყვეტილებით, თუკი იგი აუცილებელია კანდიდატის სრულფასოვანი შეფასებისთვის.
2. გასაუბრებისას ყურადღება ექცევა კონკურსანტის კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილებისა და მოტივაციის შესაბამისობას დასაკავებელი თანამდებობისათვის დადგენილ საკონკურსო პირობებთან, რომელიც კონკურსანტის სრულფასოვნად შეფასების დამატებითი საფუძველია.
3. გასაუბრება ტარდება კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ დროს, ადგილზე და ფორმით.
4. კონკურსანტი ვალდებულია გამოცხადდეს გასაუბრებაზე მისთვის განსაზღვრულ დროს. რაიმე შეფერხების არსებობის შესახებ, იგი ვალდებულია პირველივე შესაძლებლობისთანავე აცნობოს (ნებისმიერი ფორმით) ამის შესახებ კომისიის სამდივნოს.

5. კომისიის გადაწყვეტილებით, გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აუდიო-ვიდეო ტრანსლირების ფორმით.
6. კომისია, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გასაუბრების მიმდინარეობის ვიდეო ან აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით. ასეთი გადაწყვეტილების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს კონკურსანტს.
7. კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს კონკურსიდან მისი დისკვალიფიკაციის საფუძველს.

მუხლი 13. კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პირობები

1. კომისია კონკურსანტებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს შემდეგ მაჩვენებლებს:
 - ა) პუბლიკაციებს მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში;
 - ბ) ნორმირებულ ციტირების მაჩვენებელს (თვითციტირების გამოკლებით);
 - გ) H - ინდექსს.
2. თანაბარი მაჩვენებლების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს:
 - ა) რომლის სტატიები მეტადაა შესაბამისობაში იმ განყოფილების საკვლევ თემატიკასთან, სადაც თანამდებობის დაკავების სურვილი აქვს მას გამოთქმული;
 - ბ) რომელიც კორპორატიულ (20-ზე მეტ თანაავტორთა) სტატიაში პირველი ან მთავარი (corresponding) ავტორია;
 - გ) რომელიც არის რიგით პირველი თანაავტორი არაკორპორატიულ (20-ზე ნაკლებ თანაავტორთა) სტატიებში;
 - დ) რომელიც მონაწილეობდა/მონაწილეობს ეროვნულ ან/და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში;
 - ე) რომელსაც აქვს შესაბამისი პროფილის უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მუშაობის ან/და კოლაბორაციულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება.

მუხლი 14. კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია კონკურსანტების დოკუმენტების შემოწმებისა და მათთან გასაუბრების შემდეგ, აფასებს, ითვალისწინებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პირობებს, მსჯელობს და კენჭისყრის გზით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია ხელმძღვანელობს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან კონკურსანტის შესაბამისობის შეფასებით და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
 - ა) ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგინოს კანდიდატი (გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა),
 - ბ) უარი თქვას ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის წარდგენაზე (ჩაშლილი კონკურსი).

2. კომისია თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობს საერთაშორისოდ აღიარებული ინდექსირების ბაზებით.
3. ერთ სამეცნიერო თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი კანდიდატი.
4. კონკურსანტი კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე შერჩეულად ითვლება თუკი კენჭისყრისას მიიღებს სხვა კონკურსანტებზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობისა.
5. კონკურსის საბოლოო შედეგები აისახება კომისიის შემაჯამებელ ოქმში. მასში უნდა აისახოს შედეგების დასაბუთებაც. თითოეულ კონკურსანტს ეცნობება მის შესახებ შემაჯამებელ ოქმში ასახული კომისიის გადაწყვეტილება.
6. საქმიანობის დასასრულს, კომისია, დადგენილ ვადაში, კონკურსის შედეგებს (შემაჯამებელი ოქმი) საკანცელარიო წესით წარუდგენს ობსერვატორიის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

მუხლი 15. კონკურსანტის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება

1. თუ კონკურსანტი მიიჩნევს, რომ კომისიის გადაწყვეტილებით მისი უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება, უფლებამოსილია, ობსერვატორიის დირექტორის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, წარუდგინოს დირექტორს საკუთარი მოსაზრება. ამ მოსაზრების წარდგენა წარმოებს ელექტრონულად, ობსერვატორიის ელექტრონულ ფოსტაზე vacancy@abao.ge.
2. ობსერვატორიის დირექტორი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატთა დანიშვნამდე ეცნობა კონკურსანტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო, საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამის გადაწყვეტილებას.

მუხლი 15. ჩაშლილი კონკურსი

1. კონკურსი კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ კომისია უარს განაცხადებს თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წამოყენებაზე. აღნიშნული აისახება კომისიის შემაჯამებელ ოქმში.
2. იმ ვაკანტურად დარჩენილ თანამდებობებზე, რომლებზეც კონკურსი ჩაიშალა, ობსერვატორიამ შესაძლოა გამოაცხადოს ხელახალი კონკურსი.

მუხლი 16. დავები კონკურსთან დაკავშირებით

კონკურსის მონაწილე კანდიდატს უფლება აქვს, კონკურსის პროცედურების, ეტაპებისა და შედეგების თაობაზე მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი III. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 17. სამსახურში აყვანა

ობსერვატორიის დირექტორი კონკურსის შედეგების (შემაჯამებელი ოქმი) გათვალისწინებით, კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის პირადი გაცხადების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე მისი დასაქმების შესახებ.

მუხლი 18. არქივი

1. კომისიის საქმიანობის ამსახველი სრული დოკუმენტაცია, კონკურსის დასრულების შემდეგ, შესაძლებელია გადაეცემა ობსერვატორიის საქმისწარმოებისა და არქივის სპეციალისტს.
2. კონკურსანტს, მისი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, კონკურსის დასრულების შემდეგ უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტები, მათი ქსეროასლები კი რჩება (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) ობსერვატორიაში.

სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის

საკონკურსო კომისიას

მოქალაქე (სახელი, გვარი)

მისამართი:

ტელ.:

ელ-ფოსტა:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მონაწილეობა მივიღო სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის

(სტრუქტურული ერთეულის სრული დასახელება)

განყოფილების _____ მეცნიერი თანამშრომლების ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

თანახმა ვარ:

ა) საკონკურსო კომისიამ გადაამოწმოს ჩემს მიერ წარმოდგენილ განცხადებაში და შესაბამის დოკუმენტებში მითითებული ინფორმაციის სისწორე და შეუსაბამობის დადასტურების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსიდან ჩემი დისკვალიფიკაციის შესახებ, რითაც ვკარგავ მიმდინარე კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას;

ბ) საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის შედეგების მიღების შემდგომ, ჩემი საკონკურსო მონაცემების ის ნაწილი, რომელიც არ შეიცავს პირად ინფორმაციას, დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ობსერვატორიის მიერ გაცემული იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) კონკურსის მიმდინარეობისას ვიხელმძღვანელო სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდების (დამტკიცებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/5 ბრძანებით) და „სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ“ ობსერვატორიის დირექტორის 2020 წლის 1 ივლისის N03-01/07 ბრძანებით.

ხელმოწერა:

დანართი №2- ავტობიოგრაფიის რეკვიზიტები

1. სახელი, გვარი;
2. დაბადების თარიღი და ადგილი;
3. მისამართი;
4. საკონტაქტო ტელეფონი და ელ-ფოსტა;
5. განათლება და აკადემიური ხარისხი (უმაღლესი სასწავლებელი, სწავლების წლები, სპეციალობა, ხარისხი);
6. სამუშაო გამოცდილება (დაწესებულების დასახელება, თანამდებობა, მუშაობის პერიოდი);
7. მონაწილეობა კვლევით პროექტებში (დასახელება, პერიოდი);
8. რეფერირებული სტატიების რაოდენობა, ნორმირებული ციტირების მაჩვენებელი (თვითციტირების გამოკლებით), h ინდექსი - რეკომენდირებულია the SAO/NASA Astrophysics Data Systems (adsabs.harvard.edu);
9. დამატებითი ინფორმაცია (კონკურსანტის სურვილის შემთხვევაში).